საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/20 "26" აგვისტო 2010 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ

1. „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 69-ე მუხლის პირველი პუნქტისა და „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთათვის თანამდებობრივ სარგოზე დანამატის განსაზღვრისა და საცხოვრებელი ფართობით უზრუნველყოფის ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ" საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 8 მაისის №1/87 გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, თანამდებობრივ სარგოზე ყოველთვიური დანამატი დაუწესდეთ საქართველოს საერთო სასამართლოების შემდეგ მოსამართლეებს:

ა) თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს – 800 ლარი;

ბ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს – 850 ლარი;

გ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს – 1050 ლარი;

დ) თბილისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 950 ლარი;

ე) თბილისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს – 450 ლარი;

ვ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარეს – 500 ლარი;

ზ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარის მოადგილეს – 600 ლარი;

თ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს პალატის თავმჯდომარეს – 850 ლარი;

ი) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 750 ლარი;

კ) ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მოსამართლეს – 300 ლარი;

ლ) თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს – 1500 ლარი;

მ) თბილისის საქალაქო სასამართლოს კოლეგიის თავმჯდომარეს – 1100 ლარი;

ნ) თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს – 400 ლარი;

ო) გაერთიანებული რაიონული სასამართლოს თავმჯდომარეს - 1250 ლარი;

პ) ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოსამართლეს – 200 ლარი.

2. „საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2007 წლის 25 სექტემბრის №1/208-2007 გადაწყვეტილებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ეფექტიანად განხორციელებისათვის იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრ მოსამართლეს და საქართველოს პარლამენტის წევრს დაუწესდეს ყოველთვიური დანამატი 700 ლარის ოდენობით.

3. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტს დაევალოს ამ გადაწყვეტილების პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი დანამატების გაცემის უზრუნველყოფა.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეებისათვის და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებისათვის დანამატის დაწესების შესახებ“ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2008 წლის 22 იანვრის №1/11 გადაწყვეტილება.

5. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს 2010 წლის 1 მარტიდან.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი